603ᲐᲕ6409

ᲙᲐᲠᲚᲔᲢᲐᲠᲔᲒᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ლელო

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲒᲣᲚᲘ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲔ-14 ᲬᲔᲚᲘ

№ 14 (1184) | ᲙᲕᲘᲠᲐ, 2 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ, 1958 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 30 ᲙᲐᲞ.

ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲨᲘ

სვერდლოვსკი. (ჩვენი სპეც. კორ.). კალათბურთელთა საკავშირო პირველობის მესამე დღეს ყურადღების ცენტრში იყო თბილისის „დინამოს“ და მოსკოვის თანაკლუბელთა შეხვედრა. უკანასკნელ ხანებში მოსკოვის „დინამო“ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივი გახდა და მან წელსაც დაუჯერებლად დაიწყო გათამაშება. ამას ისიც მოწმობს, რომ დინამოელებმა პირველ დღეს დაამარცხეს გასული წლის ჩემპიონი რიგას არმიელები. მაყურებელთა აზრით ძნელი იყო რაიმე რეალური პროგნოზის გაკეთება. ყოველ შემთხვევაში ისინი მრავალსმთქმელ დუმილს არჩევდნენ და უნდა ითქვას, რომ მათი პოზიცია უფრო მართალი გამოდგა.

თამაშის დასაწყისშივე თბილისელებმა (ხაზარაძე, გვანცელაძე, აბაშიძე, ქილაძე, მინაშვილი) მაღალი ტემპი შესთავაზეს მოწინააღმდეგეებს (ბალაბანოვი, კორნეევი, ტორბანი, ობეროვი, სტუდენეცკი), რაც უკანასკნელებმა მაშინვე მიიღეს. მე-8 წუთამდე ანგარიში თანაბრად იზრდებოდა, მაგრამ ინწკირველის შემოსვლამ მოედანზე თბილისელებს იერიშება აგრესია შეჰმატა. მე-12 წუთზე წინ უკვე თბილისელები არიან—20:12 შესანიშნავად თამაშობს ინწკირველი, რომელიც ხელიდან 6 ქულას აძლევს თავის გუნდს. თამაშის პირველი ნახევრის დასრულებამდე ინიციატივა თბილელთა მხარესაა და ისინი იგებენ ტაიმს — 33:18.

მეორე ნახევარში მოსკოველებს ბალაბანოვის ნაცვლად შემოჰყავთ გრიშკი. მაგრამ ეს ძალთა თანაფარდობას სრულებით არ ცვლის. 27-ე წუთზე თბილისელები წინ არიან 21 ქულით (43:28). თანდათანობით ჯარიმების გამო მოედანს ტოვებენ ხაზარაძე (მას ცვლის გოგელია), ინწკირველი (ასისტაშვილი). ეს მოსკოვის დინამოელებს ანგარიშში განსხვავებას შემცირების საშუალებას აძლევს.

შეხვედრის უკანასკნელ წუთებზე მოსკოველები რამდენიმე ბურთს ტოვებენ შორიდან, მაგრამ მაინც აგებენ შეხვედრას — 61:65. თბილისელთა შორის ამ თამაშში გამოირჩეოდნენ ინწკირველი, აბაშიძე, მინაშვილი და ხაზარაძე.

ლენინგრადის „ბურევესტნიკმა“ ფინიშალური ანგარიშით (65:64) დაამარცხა ტალინის „კალევი“. რიგის ოსკ-ამ მოუგო შეხვედრა სვერდლოვსკის გუნდს — 81:76.

30 იანვარი ჩემპიონატში დასვენების დღე იყო, მაგრამ ერთი თამაში მაინც შედგა. როგორც ცნობილია, რიგის ოსკ-ა მონაწილეობს კალათბურთელთა ევროპის თასის გათამაშებაში. ამიტომ მათი უკანასკნელი შეხვედრა ტალინის „კალევთან“ გადმოტანილ იქნა ამ დღისათვის. რიგელმა სპორტსმენებმა მოიგეს მატჩი ანგარიშით 73:64.

ტალინის „კალევი“ „ა“ კლასის დებიუტანტია. ამ გუნდში ერთ დროს თამაშობდნენ საბჭოთა კალათბურთის ცნობილი ოსტატები ი. ლისოვი, ჰ. კრუსი. ახლა, როგორც ჩანს, მათი ადგილები ახალგაზრდებს დაუთმეს. ტალინის გუნდი თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: ლეპმეტსი, მუტიკასი, როოდასი, ვინარდი, ტედერი. თბილისელები მოედანზე იგივე შემადგენლობით გამოვიდნენ როგორც წინა თამაშებზე. უნდა ითქვას, რომ თამაში უინტერესო გამოდგა. ტალინის კალათბურთელებმა ოდნავი წინააღმდეგობაც კი ვერ გაუწიეს დინამოელებს, რომლებიც თავშობდნენ აგრესიულად, მონდომებით და თითქმის უშეცდომოდ. პირველ ნახევარს თბილისის „დინამო“ იგებს — 42:29.

ვერც შეხვედრის მეორე ნახევარმა მოუტანა წარმატება ტალინელებს. „დინამოს“ კალათბურთელები კვლავ შესანიშნავად თამაშობდნენ. ინიციატივა მათ ხელიდან არ გაუშვიათ შეხვედრის დამთავრებამდე. მატჩი მოიგეს თბილისელებმა, ანგარიშით 94:54.

რიგის ოსკ-ამ დაამთავრა თამაშები. უკანასკნელი შეხვედრა მან მოუგო ლენინგრადის „ბურევესტნიკს“ — 68:61. მოსკოვის „დინამომ“ შედარებით ადვილად მოუგო მატჩი სვერდლოვსკის გუნდს—61:46.

მ. ᲐᲛᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

* * *

ალმა-ატა. (ჩვენი სპეც. კორესპონდენტი). არაჩვეულებრივად დაძაბული გამოდგა კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მესამე დღის შეხვედრები და რა თქმა უნდა, მაყურებელთა ყურადღების ცენტრში იყო ჩემპიონატის ლიდერების, თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბისა და კაუნასის „ჟალგირისის“ შეხვედრა.

შეიძლებოდა წინასწარ გვეფიქრა, რომ მოსკოვის არმიელები შედარებით იოლად მოუგებდნენ კაუნასელ სპორტსმენებს, რადგან ყველასათვის

(დასასრული მე-4 გვ.).

ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲣᲚᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲜᲐᲕᲔᲒᲘ

ნიჩბებს, უშიშრად სერავს ახეულ მეტრებს.

მწვრთნელი ლაცკო ვარჯიშს იშვიათად ხელმძღვანელობს ნაპირიდან. ჩვეულებრივი ნავით ხშირად გადაეშვება იგი აკადემიური ნავების ჭარავანში და ადგილზე აძლევს სპორტსმენებს საჭირო დარიგებებს, მითითებას.

ამჯერად მწვრთნელი ოთხადგილიან ნავში მესაჭის ადგილს იკერს.

— რიტმულად, შეთანხმებულად ბიჭებო! — კარნახობს იგი ეკიპაჟს და სპორტსმენები ცდილობენ ზუსტად შეუწყონ ერთმანეთს მოძრაობა და სუნთქვაც კი.

აკადემიური ნიჩბოსნობის სექციაში 26 ახალგაზრდა ვარჯიშობს. მათს განკარგულებაშია სხვადასხვა სახის 20-მდე ნავი. კარგად არის მოწყობილი ნავმისადგომი, ელინგი და საწვრთნელი მოედანი.

წელს სადგურის ტერიტორიაზე აშენდება ორსართულიანი კაპიტალური შენობა, რომელშიც მოთავსდება სპორტული ინვენტარი, მოეწყობა სექციების სამეცადინო ოთახები, ექიმის კაბინეტი, გასახდელი და შხაპი.

თუმცა ზამთარია, მაგრამ ფოთელი ნიჩბოსნები მონდომებით მეცადინეობენ ღია ცისქვეშ. ემზადებიან მოიპოვონ რესპუბლიკის ნაკრებში მონაწილეობის უფლება და დაიცვან საქართველოს სპორტული სახელი საბჭოთა კავშირის ხალხთა მომავალ სპარტაკიადაზე.

ა. ᲚᲝᲛᲐᲘᲐ, ი. ᲓᲣᲚᲑᲐᲘᲐ.

სურათებზე: ორმოსასმელიანი აკადემიური ნავები რიონზე მეცადინეობის დროს.

ფოტო რ. ლეკმანიჩავასი.

მშვიდობისა და ურთიერთგაგებისათვის

საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის კავშირის შემდგომი განმტკიცების მიზნით გასული წლის 28 ოქტომბრიდან მიმდინარე წლის 27 იანვრამდე ვაშინგტონში მიმდინარეობდა ძნელაპარაკება, რომლის დამთავრების შემდეგ ხელმოწერილ იქნა „შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის კულტურის, ტექნიკისა და განათლების საკითხებზე“. აღნიშნული შეთანხმება წარმოადგენს პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯს ამ ორი ქვეყნის კავშირის შემდგომი განმტკიცების საქმეში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას მთელს მსოფლიოში.

აღნიშნული შეთანხმების მე-11 პუნქტი ითვალისწინებს ამერიკისა და საბჭოთა კავშირის სპორტული დელეგაციების გაცვლას. 1958-1959 წლებში გაიმართება ამ ორი ქვეყნის სპორტსმენების შემდეგი შეჯიბრებები:

კალათბურთელ ვაჟთა და ქალთა მატჩები გაიმართება მიმდინარე წლის აპრილში საბჭოთა კავშირში. ერთი წლის შემდეგ ეს გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მიმდინარე თვეში საბჭოთა კავშირის თავისუფალ ჭიდაოსთა გუნდი რამდენიმე შეხვედრას გამართავს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამერიკელები სამაუწყებო ვიზიტით ჩამოვლენ 1959 წელს. ივლისში საბჭოთა კავშირს ესტუმრებიან ამერიკის საუკეთესო მძლეოსნები, სამასუხო ვიზიტით ჩვენი შეჯიბრება დამთავრდა საბჭოთა გუნდის ბრწყინვალე გამარჯვებით, რომელსაც გადაეცა „რესპუბლიკის პრეზიდენტის დიდი ვერცხლის თასი“.

31 იანვარს მოსკოვში ჩამოვიდნენ ეგვიპტის ველორბოლის მონაწილენი. პირად პირველობაში გამარჯვებულ ოლიმპიადონიკს მოკოველები გულთბილად შეხვდნენ.

* * *

სურათზე: ეგვიპტის „მშვიდობის ველორბოლის“ ერთ-ერთი ეტაპზე.

„ეგვიპტის ველორბოლა იყო ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის უდიდესი დემონსტრაცია“ — ასეთი შეფასება მისცა ამ დღეებში ეგვიპტეში დამთავრებულ მრავალდღიან ველორბოლას ქაიროს გენერალ-გუბერნატორმა ელ-ბენდარმა, რომელმაც შეჯიბრების დახურვის ზეიმზე ეგვიპტის პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის დავალებით სიტყვით მიმართა შეჯიბრების მონაწილეებს და პრიზები გადასცა გამარჯვებულებს.

მართლაც, რბოლაში მონაწილე 10 ქვეყნის სპორტსმენები მიუხედავად იმისა, რომ თავდავიწყებით იბრძოდნენ თავიანთი გუნდის ინტერესებისათვის, ყოველთვის ინარჩუნებდნენ ზომიერების გრძნობას და დახმარების ხელს უწევდნენ „მოწინააღმდეგეს“ ყოველ სახიფათო მომენტში. შეჯიბრება ჩატარდა ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და სპორტული კავშირის განმტკიცების ნიშნით.

ᲠᲔᲡᲙᲐᲣᲒᲚᲘᲙᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა **კლასიკურ ჭიდაობაში.** თ. მეფარიშვილს („დინამო“, ქუთაისი), ვ. ლაფაურს („სპარტაკი“, თბილისი). **თავისუფალ ჭიდაობაში:** ლ. კაკუშაძეს („ბურევესტნიკი“, ქუთაისი), ვ. სულაძეს („სპარტაკი“, თბილისი). **მოტოსპორტში:** ვ. გრიგორიანს (დინამო, თბილისი). **აკრობატიკაში:** გ. ქარიას („ბურევესტნიკი“, სოხუმი), ვ. ლიტვინოვს („ლოკომოტივი“, თბილისი) და ი. ცირეკიძეს.

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა: **კალათბურთში** ი. ქუმელაშვილს („ბურევესტნიკი“, გორი), რ. კაკაბაძეს („სპარტაკი“, ბათუმი), **ნიჩბოსნობაში** — რ. ბუაძეს („დინამო“, ფოთი), **ფრენბურთში** — ვ. გუტნიკს („ბურევესტნიკი“, ბათუმი). **წყალბურთში** — ნ. გვახარიას და რ. ჩაჩავას (ორივე თბილისის „დინამო“), **საიალქნო სპორტში** — კ. კრივონოსოვს („ბურევესტნიკი“, სოხუმი).

რესპუბლიკურ სპორტულ ღონისძი

ველოსპორტი

1. ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა მრავალდღიანი ველორბოლა. ადგილებზე. 20-27 აპრილი. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივები (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

2. საქართველოს სსრ პირადი პირველობა გზატკეცილზე 200 კმ (ვაჟები) და შეჯიბრება საგზაო მანქანებით: ვაჟები — 50 კმ, ქალები — 25 კმ. სოხუმი. 26-28 აპრილი. მონაწილეობა კომიტეტების განაცხადთა მიხედვით (მონაწილეთა რაოდენობა 80, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტი).

3. რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა პირველობა გზატკეცილზე და კროსში. ადგილებზე. 1-6 მაისი. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივები (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

4. მრავალდღიანი რესპუბლიკური ველორბოლა. განსაკუთრებული მარშრუტით. 8-19 მაისი. მონაწილეობენ ქალაქების, რაიონების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 90, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

5. თბილისის პირველობა ტრეკზე. 24-27 მაისი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდები. ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურისა და სპორტის თბილისის კომიტეტი.

6. მონაწილეობა პირველი ჯგუფის ქალაქების მატჩში ტრეკზე (მოსკოვი, ლენინგრადი, ოდესა, თბილისი, კიევი, ტულა). ლენინგრადი. 13-17 ივნისი. მონაწილეობს თბილისის ნაკრები გუნდი (მონაწილეთა რაოდენობა 23, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

7. მონაწილეობა საკავშირო მრავალდღიან ველორბოლაში. განსაკუთრებული მარშრუტით. 13-30 ივნისი. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი (მონაწილეთა რაოდენობა 12, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

8. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობაზე სალიდერო რბოლაში. მოსკოვი. 16-22 აგვისტო. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

9. მონაწილეობა მოზარდთა საკავშირო შეჯიბრებაში ტრეკზე. ტულა. 20-28 ივლისი. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

10. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად პირველობაში გზატკეცილზე ვაჟთათვის (200 კმ). მოსკოვი. 2-4 აგვისტო. მონაწილეობა სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა განაცხადების მიხედვით (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

11. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად პირველობაში ტრეკზე ვაჟთათვის. ტულა. 7-11 აგვისტო. მონაწილეობა სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა განაცხადების მიხედვით (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

12. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობაში გზატკეცილზე და კროსში (200 კმ გარეშე). ლვოვი. 12-16 სექტემბერი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

13. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობაში ტრეკზე. ხარკოვი. 24-29 სექტემბერი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

14. საქართველოს სსრ პირველობა ტრეკზე. თბილისი. 4-8 ოქტომბერი. მონაწილეობენ ქალაქების ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 80, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

15. საქართველოს სსრ პირადგუნდური პირველობა გზატკეცილზე და კროსში (200 კმ გარეშე). თბილისი. 22-27 ოქტომბერი. მონაწილეობენ ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა პირველობებში გამარჯვებულნი. აგრეთვე სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 100, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

ფრენბურთი

1. მონაწილეობა „ა“ კლასის კოლექტივებთან არსებული მოზარდთა გუნდების საკავშირო შეჯიბრებაში. მოსკოვი. 2-11 იანვარი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა გუნდები.

2. მოზარდთა გუნდების რესპუბლიკური შეჯიბრება. თბილისი. 4-10 იანვარი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა გუნდები.

3. ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა ზამთრის შეჯიბრება. ადგილებზე. 18-26 იანვარი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა გუნდები.

4. მონაწილეობა სსრ კავშირის პირველობაში „ა“ კლასის გუნდებს შორის (ვაჟები). კალენდრის მიხედვით. მონაწილეობს თბილისის „ბურევესტნიკი“ (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

5. ზამთრის რესპუბლიკური შეჯიბრება. თბილისი. 6-14 თებერვალი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 120, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

6. მონაწილეობა მოზარდთა გუნდების საქალაქთაშორისო შეჯიბრებაში (თბილისი, ბაქო, ერევანი, გროზნო). ერევანი. 24-28 მარტი. მონაწილეობს თბილისის ნაკრები გუნდი (მონაწილეთა ასაკი 15-16 წელი, ღონისძიებას ატარებს თბილისის ფიზკულტურის კომიტეტი).

7. მონაწილეობა სსრ კავშირის პირველობაში „ბ“ კლასის გუნდებს შორის. ტალინი. 11-22 აპრილი. მონაწილეობენ ზამთრის რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებული სპორტსაზოგადოებათა გუნდები (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

8. საქართველოს სსრ პირველობა „ა“ კლასის გუნდებს შორის. ბათუმი. 19-26 ივლისი. მონაწილეობენ ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა პირველობებში გამარჯვებულნი (მონაწილეთა რაოდენობა 160, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

9. რესპუბლიკური პირველობა „ბ“ კლასის გუნდებს შორის. გორი. 17-25 აგვისტო. მონაწილეობენ რაიონების გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 260, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

10. სამატჩო შეხვედრა ლიტვა-საქართველო. ბათუმი. 15-18 სექტემბერი (მონაწილეთა რაოდენობა 53, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

სპორტული ტანვარჯიში

1. მოზარდთა რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება. თბილისი. 29 მარტი — 3 აპრილი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 250, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

2. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად პირველობაში მრავალჭიდის ცალკეულ სახეობებში. მოსკოვი. 15-21 აპრილი. მონაწილეობა სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა განაცხადების მიხედვით (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

3. რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა პირად-გუნდური პირველობა. ადგილებზე. 20-27 აპრილი. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივები (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

4. საქართველოს სსრ პირადგუნდური პირველობა. თბილისი. 14-19 მაისი. მონაწილეობენ რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა პირველობებში გამარჯვებულნი (მონაწილეთა რაოდენობა 160, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

5. რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა პირველობა. ადგილებზე. 4-12 ოქტომბერი. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივები (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

6. საქართველოს სსრ პირადგუნდური პირველობა. სოხუმი. 16-23 ოქტომბერი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა უძლიერესი გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 150, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

7. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობაში. მოსკოვი. 25 ნოემბერი — 1 დეკემბერი. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი (მონაწილეთა რაოდენობა 20, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

მხატვრული ტანვარჯიში

1. ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა შეჯიბრება მოზარდთა შორის. ადგილებზე. 15-22 მარტი. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივები (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

2. მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება. თბილისი. 25 მარტი — 1 აპრილი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 40, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

3. ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა პირველობა. ადგილებზე. 1-9 ოქტომბერი. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივები (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

4. საქართველოს სსრ პირადგუნდური პირველობა. ქუთაისი. 24-29 ოქტომბერი. მონაწილეობენ ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა პირველობებში გამარჯვებულნი (მონაწილეთა რაოდენობა 60, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

5. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობაში. მოსკოვი. 2-8 დეკემბერი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

ძალოსნობა

1. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საბჭოთა არმიის დღისადმი მიძღვნილი მასობრივი კროსები. ადგილებზე. 23 თებერვალი. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივები (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კოლექტივები).

2. რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა საგაზაფხულო შეჯიბრება. ადგილებზე. 22 თებერვალი — 1 მარტი (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

3. რესპუბლიკური საგაზაფხულო შეჯიბრება. თბილისი. 25-29 მარტი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 250, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

4. ზამთრის საკავშირო შეჯიბრება. ლენინგრადი. 7-11 მარტი. მონაწილეობენ უძლიერესი სპორტსმენები სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა განაცხადების მიხედვით (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

5. საგაზაფხულო მასობრივი საკავშირო კროსი. I ტური (ფიზიკური კულტურის კოლექტივებში). ადგილებზე. 16-23 მარტი. მონაწილეობს ყველა მსურველი (ღონისძიებას ატარებენ ფიზიკური კულტურის კოლექტივები და სპორტსაზოგადოებანი).

6. სამატჩო შეხვედრა ლიტვა-საქართველო. ბათუმი. 4-7 აპრილი. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი (მონაწილეთა რაოდენობა 100, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

7. საკავშირო მასობრივი საგაზაფხულო კროსი. II ტური (საარაიონო და საქალაქო ფინალური შეჯიბრებანი). ადგილებზე. 5-12 აპრილი. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივების გუნდები (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

8. საკავშირო მასობრივი საგაზაფხულო კროსი. III ტური (რესპუბლიკური პირველობა). თბილისი. 19-21 აპრილი. მონაწილეობენ ქალაქების ნაკრები გუნდები (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

9. საკავშირო საგაზაფხულო

დასაწყისი იხ. „ლელო“ № 13.

...ია 1958 წლის კალენდარული გეგმა

20. საკავშირო შეჯიბრება ახალგაზრდობის სპორტსკოლებს შორის. ხარკოვი. 18-28 სექტემბერი. მონაწილეობენ ახალგაზრდობის სპორტსკოლათა გუნდები (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

21. საკავშირო მასობრივი საშემოდგომო კროსი. II ტური. (რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა პირველობა). ადგილებზე. 27 სექტემბერი—4 ოქტომბერი. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივებისა და ქალაქების გუნდები (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

22. მონაწილეობა სსრ კავშირის გუნდურ პირველობაში. თბილისი. 10-17 ოქტომბერი. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი (მონაწილეთა რაოდენობა 1.200, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

23. საკავშირო მასობრივი საშემოდგომო კროსი. III ტური. თბილისი. 24-26 ოქტომბერი. მონაწილეობენ ქალაქის ნაკრები გუნდები (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

24. რესპუბლიკური პირადი შეჯიბრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის პრიზზე (ვაჟთათვის — რბენა 5 და 10 კმ, სიარული 50 კმ, ქალებისათვის — რბენა 400 და 800 მეტრზე) თბილისი. 18-20 ოქტომბერი. მონაწილეობა კომიტეტების განაცხადთა მიხედვით (მონაწილეთა რაოდენობა 150, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

25. მონაწილეობა საკავშირო მასობრივი საშემოდგომო კროსის ფინალში (სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა). კრასნოდარი. 2-4 ნოემბერი. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი (მონაწილეთა რაოდენობა 27, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

26. ოქტომბრის დღესასწაულისადმი მიძღვნილი მასობრივი კროსები. ადგილებზე. 2 ნოემბერი (ღონისძიებას ატარებენ ფიზიკური კულტურის კოლექტივები და სპორტსაზოგადოებანი).

27. საქართველოს სსრ პირადი პირველობა მარათონულ რბენაში სოხუმი. 6-8 დეკემბერი. მონაწილეობენ უძლიერესნი (მონაწილეთა რაოდენობა 20, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

სათხილამურო სპორტი

1. რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა პირველობა. ადგილებზე. 5-13 იანვარი. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივები (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

2. საქართველოს სსრ პირადგუნდური პირველობა. ბაკურიანი. 8-13 თებერვალი. მონაწილეობენ რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 180, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

3. საკავშირო პროფკავშირულკომკავშირული კროსი:

ა) ფიზიკური კულტურის კოლექტივებში. ადგილებზე. 26 იანვარი (ღონისძიებას ატარებენ ფიზიკური კულტურის კოლექტივები).

ბ) რაიონებსა და ქალაქებში. ადგილებზე. 16 თებერვალი (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

4. მონაწილეობა სოფლის სპორტსმენთა საკავშირო შეჯიბრებაში. ვოროშტა. 11-17 თებერვალი. მონაწილეობს „კოლმეურნის“ ნაკრები გუნდი (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

5. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობაზე სამთო-სათხილამურო სპორტში. ალმა-ატა. 8-19 მარტი. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი (მონაწილეთა რაოდენობა 15, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

6. მონაწილეობა სსრ კავშირის პირველობაზე ამანათრბენში და პატრულების რბოლაში (ჩრდილოეთის ტრადიციული დღესასწაული). მურმანსკი. 29 მარტი—2 აპრილი. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი (მონაწილეთა რაოდენობა 11, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

7. რესპუბლიკური შეჯიბრება გაზეთ „ლელოს“ პრიზზე. ბაკურიანი. 25-29 დეკემბერი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 100, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

მოტოსპორტი

1. ქალაქებისა და ასს რესპუბლიკათა პირველობა კროსში. ადგილებზე. 3-5 მაისი. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივები (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

2. საქართველოს სსრ პირადგუნდური პირველობა კროსში. თბილისი. 22-26 მაისი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 80, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

3. ქალაქებისა და ასს რესპუბლიკათა პირველობა წრიულ რბოლაში. ადგილებზე. გეგმის მიხედვით. მონაწილეობენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

4. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად პირველობაზე საგზატკეცილო და წრიულ რბოლაში. ლენინგრადი. 1-4 ივლისი. ტალინი. 10-14 ივლისი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა საუკეთესო სპორტსმენები (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

5. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობაზე ექვსდღიან რბოლაში. თბილისი. 4-11 აგვისტო. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 208, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

6. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა კროსში. ერევანი. 9-13 ოქტომბერი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

ცურვა

1. საქართველოს სსრ პირადი პირველობა. თბილისი. 21-25 თებერვალი. მონაწილეობენ უძლიერესნი (მონაწილეთა რაოდენობა 100, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

2. მონაწილეობა სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ბავშვთა სპორტსკოლების შეჯიბრებაში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე. მოსკოვი. 24-29 მარტი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ბავშვთა სპორტსკოლების გუნდები (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

3. სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდების შეჯიბრება. კიევი. 18-23 აპრილი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდები (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

4. ქალაქებისა და ასს რესპუბლიკათა პირველობა. ადგილებზე. 5-14 ივნისი. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივების გუნდები (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

5. საქართველოს სსრ პირადგუნდური პირველობა. თბილისი. 14-19 ივნისი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 150, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

6. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობაში. მოსკოვი. 18-24 ივლისი. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი (მონაწილეთა რაოდენობა 41, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

7. რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის პრიზზე. თბილისი. 24-29 სექტემბერი. მონაწილეობენ რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 200, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

8. ახალგაზრდობის სპორტული სკოლების რესპუბლიკური შეჯიბრება. ბათუმი. 18-22 ოქტომბერი. მონაწილეობენ სპორტსკოლათა გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 60, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

9. მონაწილეობა ახალგაზრდობის სპორტსკოლათა საკავშირო შეჯიბრებაში. კიევი. 6-10 ნოემბერი. მონაწილეობენ სპორტსკოლათა გუნდები (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

წყალში ხტომა

1. სამატჩო შეხვედრა სომხეთი-საქართველო. ერევანი. 24-28 თებერვალი. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 12, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

2. ქალაქებისა და ასს რესპუბლიკათა პირველობა. ადგილებზე. 8-15 ივნისი. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივები (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

3. საქართველოს სსრ პირადგუნდური პირველობა. თბილისი. 18-23 ივნისი. მონაწილეობენ რაიონების, ქალაქებისა და ასს რესპუბლიკათა გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 45, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

4. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობაში. თბილისი. 18-23 ივლისი. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი. (მონაწილეთა რაოდენობა 238, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

5. პირად-გუნდური შეჯიბრება ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის პრიზზე. თბილისი. 24-29 სექტემბერი. მონაწილეობენ ქალაქებისა და ასს რესპუბლიკათა ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 80, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

6. სამატჩო შეხვედრა აზერბაიჯანი-საქართველო. ბაქო. 19-24 დეკემბერი. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი (მონაწილეთა რაოდენობა 12, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

თანამედროვე ხუთჭიდი

1. სამატჩო შეხვედრა ესტონეთი-საქართველო. ტალინი. 28 მარტი — 2 აპრილი. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი (მონაწილეთა რაოდენობა 6, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

2. რესპუბლიკური ახალგაზრდული შეჯიბრება. თბილისი. 7-13 ივნისი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 32, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

3. ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა პირველობა. ადგილებზე. 29 ივნისი — 6 ივლისი (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

4. საქართველოს სსრ პირადგუნდური პირველობა. თბილისი. 15—21 ივლისი. მონაწილეობენ ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 32, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

5. მონაწილეობა საკავშირო ახალგაზრდულ შეჯიბრებაში. მოსკოვი. 12-18 ივლისი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდები (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

6. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობაში. მოსკოვი. 24-31 აგვისტო. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი (მონაწილეთა რაოდენობა 12, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

შაში

1. რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა პირველობა. ადგილებზე. 11-31 მაისი (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

2. საქართველოს სსრ პირველობა. ჭუთაისი. 11—25 ივნისი. მონაწილეობა სიის მიხედვით (მონაწილეთა რაოდენობა 14, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის კომიტეტი).

დასასრული შემდეგ ნომერში

საკავშირო პირველობა კალათბურთში

(დასასრული)

ცნობილია, რომ „ჟალგირისი“ დღეს ის გუნდი არ არის, რაც უწინ იყო. მაგრამ ლიტველთა ახალგაზრდულმა კოლექტივმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ძლიერ მეტოქეს. იყო დრო, როდესაც არმიელია ბედა სასწორზე ეკიდა და რაღაც „სასწაულმა“ გადაარჩინა ისინი წაგებას. უკანასკნელ წუთზე ჩაგდებულმა ბურთმა მოუტანა ძნელი, მაგრამ საპატიო გამარჯვება მოსკოველებს — 88:86.

ძოსკოვის „სპარტაკმა“ დაძაბულ ბრძოლაში სძლია თბილისის „ბურევესტნიკს“ — 69:63. მოულოდნელი დამარცხება განიცადა ალმა-ატის „ბურევესტნიკმა“ რიგის „სპარტაკისაგან“. რამდენსაც არ ეცადა ალმა-ატელთა ლიდერი ახტაევი, ვერ შეძლო თამაშის გარდატეხა თავისი გუნდის სასარგებლოდ. რიგის კოლექტივმა მოიპოვა პირველი გამარჯვება ა ვ ა რ ა შ ი თ 64:61.

31 იანვრის შედეგები ასეთია: კაუნასის „ჟალგირისი“-მოსკოვის „სპარტაკი“ — 83:64 ცსკმო-რიგის „სპარტაკი“ — 88:58. ალმა-ატის „ბურევესტნიკი“-თბილისის „ბურევესტნიკი“ — 54:46

ზ. გამრეკლიძე

რიგა. (ჩვენი სპეც. კორესპონდენტი). მოსკოვის „დინამოს“, რომელიც დაძაბულ ლიდერობს ქალთა გუნდების ტურნირს, მესამე კალენდარული შეხვედრა ჰქონდა თბილისის „ბურევესტნიეთან“. დედაქალაქის დინამოელებმა მოიპოვეს ძნელი გამარჯვება ანგარიშით — 51:45. კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა ტარტუს „კალევმა“. ამჯერად მან დაამარცხა სვერდლოვსკის კალათბურთელთა კოლექტივი — 71:48. რიგის ქვეჯგუფში ჯერჯერობით წინ მიდიან მოსკოვის დინამოელები და ესტონელი სპორტსმენები. კაუნასის ჯგუფში, სადაც პირველობას ეცილება ერთმანეთს ქალთა დანარჩენი 6 გუნდი, წინ მიდიან მოსკოვის „ტრუდისა“ და ლენინგრადის „ბურევესტნიკის“ წარმომადგენლები.

31 იანვარს რიგაში გაიმართა კიდევ სამი შეხვედრა. აი მათი ტექნიკური შედეგები: სვერდლოვსკი-თბილისის „ბურევესტნიკი“ 46:45, მოსკოვის „დინამო“-მოსკოვის „ბურევესტნიკი“ — 57:39, ტარტუს „კალევი“-რიგის „დაუგავა“ — 59:46.



სსრკ XXV ჩემპიონატი

ზამთრის აუზში

„დინამოს“ ზამთრის საწყლოსნო აუზში მიმდინარეობდა თბილისის უძლიერეს მოცურავეთა პირადი პირველობა.

დებულებით ფინალში მხოლოდ 4 საუკეთესო ხვდებოდა, ამიტომ ყველა მონაწილე მთელი ძალით იბრძოდა გამარჯვებისათვის.

ქალთა შორის უძლიერესი აღმოჩნდნენ და ფინალში მონაწილეობის უფლება გაიანაღდეს ა. მორგუნენკომ, ლ. მირნოვამ, თ. ქართველიშვილმა (სამივე „დინამო“) და ლ. ვინიკოვამ (განათლება). ვაჟებიდან ფინალისტთა ოთხეულში მოხვდნენ სპორტის ოსტატი ბ. ნიკიტინი (5წ,4), რ. კვაჭაძე — 1:03,4, ზ. ჩუბინიძე (სამივე „დინამო“) და „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენელი ნ. უმერენკო.

200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ფინალში მოხვდნენ ქალებიდან დინამოელები ლ. კრილოვა, დ. კონონენკო. ი. კულჩიცკაია და „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენელი ლ. რეტნიცკაია. ვაჟებიდან — ა. პტასინსკი („ლოკომოტივი“), პ. ენიკეევი, დ. მაზერი (ოფიცერთა ‘აოლქო სახლი) და ი. ფუნიკოვი (ახალგაზრდათა სპორტსკოლა).

ვინაიდან 200 მეტრზე დელფინით მოცურავეთა რიცხვი მხოლოდ ოთხით ამოიწურა, მსაჯთა კოლეგიამ შეუხიბრება ფინალად ჩათვალა. ოთხი მონაწილიდან დისტანცია მხოლოდ სამმა დაამთავრა (ერთი მოიხსნა სტილის დარღვევისათვის), მათგან მხოლოდ გამარჯვებულმა დინამოელმა ა. იურჩენკომ აჩვენა მეორე თანრიგის ნორმატივი (2:44,6), მეორე ადგილზე გამოსული ვ. ჟურილოვის დროა — 3:09.1, ხოლო მესამე ადგილზე მყოფი ა. ასათიანი პირველ ადგილზე გამოსულ იურჩენკოს ერთი წუთით ჩამორჩა

შეჯიბრება დღეს დამთავრდება.

* * *

სურათზე: მოცურავეთა სტარტი ფოტო მ. ზარგარიანისა.

ერთხელ მოწყობილ გამოტოვებული და გადადებული პარტიების გათამაშებისას ვერ დ ამთავრდა ყველა პარტია. ამიტომ მსაჯთა კოლეგიამ ერთხელ კიდევ ჩაატარა გადადებული პარტიების გათამაშება.

საერთო ინტერესი გამოიწვია ტალ-პეტროსიანის პარტიის დამთავრებამ. როგორც ადრე ვიუწყებოდით პეტროსიანმა პარტიის გადადების წინ არ მიიღო რიგელი გროსმაისტერის შემოთავაზებული ყოფილი. ამიტომ ყველას აინტერესებდა თუ რა ჰქონდა პეტროსიანს მხედველობაში, როდესაც ზავზე უარს ამბობდა, მაგრამ მოსკოველმა ვერაფერი ვერ აჩვენა და პარტია მაინც ყოფილი დასრულდა. კოტოვმა ვერ გამოიყენა უპირატესობა კორჩნოისთან და ეს პარტიაც შეიდობით დაგვირგვინდა.

მაყურებლები მოუთმენლად ელოდნენ გროსმაისტერ. ბრონშტეინის პარტიის დამთავრებას ლატვიის ჩემპიონ გიპსლისთან. მანამდე გროსმაისტერი იბრძოდა ბორისენკოსთან. მან შესძლო ერთადერთი სვლებით ბორისენკოს მაბეზარა ქიშების თავიდან მოცილება და გამარჯვება მოიპოვა. გიპსლისთან ბრონშტეინს ცუდად ჰქონდა საქმე. გამსვლელი პაიკის ამოძრავებით გიპსლისმა აიძულა გროსმაისტერი დანებებულიყო.

სპასკი შეხვდა თავის მწვრთნელს ტოლუშს, რომელიც ჩემპიონატში ძალზე წარუმატებლად თამაშობს. ამ დღესაც იგი უძლური აღმოჩნდა თავისი მოწაფის იერიშის წინაშე და მეექვსე დამარცხება განიცადა.

მიუხედავად ორი დღის განმავლობაში გამოტოვებული პარტიების გათამაშებისა ორი პარტია (ბანიკ-ტალი და ტოლუშ-კროგიუსი) მაინც დაუმთავრებელი დარჩა.

ცხარე ბრძოლებით აღინიშნა X ტური. სპასკიმ დიდი ძალა გამოავლინა ბრონშტეინთან პარტიაში. დასაწყისში მათ ორი საათი მოანდომეს 13 სვლას, მაგრამ შემდეგ, როდესაც ბრონშტეინმა გაუმართლებლად გადაიყვანა ეტლი მეფის ფრთაზე, ბრძოლა უფრო სწრაფად წარიმართა. სპასკიმ ცენტრალური პაიკის წინსვლით გამოთიშა თამაშიდან ბრონშტეინის ეტლი და ხელი იგდო ინიციატივა. მალე მან მოიგო ხარისხი და პაიკი, კუს შეწირვით კი სამშამათო ჭსელში გაიბა ბრონშტეინის მეფე. 31-ე სვლაზე ბრონშტეინმა თავი დამარცხებულად ცნო.

ტალი „როგორც თევზი წყალში“, ისე გრძნობა თავს ღია პოზიციებში. ამიტომ ყოველ პარტიაში ახალგაზრდა გროსმაისტერი მიისწრაფის ხაზებისა და დიაგონალების გახსნისა და მეფეზე იერიშისაკენ. ასე მოიქცა იგი კოტოვთანაც. ძველინდურ დაცვაში როდესაც კოტოვმა თითქოს ჩაკეტა თამაში ლაზიერის ფრთაზე და შეუტია მეფის ბანაკს. ტალმა კომბინაციური დარტყმით გახსნა ბრძოლის ასპარეზი საწინააღმდეგო ფრთაზე. მან აქ ისეთი „ჩხუბი ატეხა“, რომ კოტოვი საგრძნობლად დაზარალდა მატერიალურად. პარტია არ დამთავრებულა. იგი გადაიდო კოტოვისათვის არასახარბიელო პოზიციაში.

სიახლემ, რომელიც კორჩნოიმ სიცილიურ დაცვაში ტაიმანოვს მოუმზადა, მას უკეთესი პოზიციის ნაცვლად უარესი მიაღებინა. ტაიმანოვმა მეთოდური თამაშით 47-ე სვლაზე გაიმარჯვა.

ავერბახმა ციტნოტში კროგიუსთან ყაიმს მიაღწია. წყნარად ვითარდებოდა პეტროსიან-პოლუგაევსკისა და ბოლესლავსკი-გიპსლისის პარტიები, რომლებშიც 30-ე სვლისათვის მეტოქეებმა დასდეს ზავი.

სუეტინს მოგება აქვს ფურმანთან შეწყვეტილ მდგომარეობაში.

ავადმყოფობის გამო ტურნირიდან გავიდა ბორისენკო. ყველას, ვისაც მასთან დარჩა პარტია სათამაშო დაეწერება ქულა, მათ შორის გურგენიძესაც.

ჩემპიონატი რაც უფრო უახლოვდება დასასრულს, მით უფრო მძაფრი გახდა ბრძოლა. ეს კარგად გამოვლინდა XI ტურშიც, რიცა მხოლოდ ორი პარტია დამთავრდა და ექვსი გადაიდო.

ყველას აინტერესებდა ლიდერების, სპასკი-ბოლესლავსკის პარტია. სიცილიურ დაცვაში სპასკიმ პაიკის შეწირვით გახსნა ხაზები მეფის ფრთაზე და წამოიწყო იერიში. ბოლესლავსკი კარგად იცავდა თავისი მეფის მისადგომებს. მაშინ სპასკიმ შეწირა მხედარი, მაგრამ იგი უმართებულო აღმოჩნდა. ბოლესლავსკის მოგება ექვს აღარ იწვევდა, მაგრამ მოხდა „სასწაული“. ბოლესლავსკიმ შეცდომა დაუშვა, რის შემდეგ გარდუვალია მისი ზედმეტი ფიგურის დაკარგვა. ამიტომ სპასკიმ მას ყაიმი შესთავაზა. მინსკელმა გროსმაისტერმა იგი მიიღო.

აგრესიულად თამაშობდა სპასკი მწვრთნელი ტოლუშიც. ბრონშტეინის პოზიციაზე იერიშის გასაღრმავებლად მან მეფის ფრთაზე გადმოიყვანა ეტლი. მაგრამ რაკი დიდ წინააღმდეგობას წააწყდა, შეეცადა ხარისხის შეწირვით გაეხსნა ცაკვის ხაზი. მაგრამ არც ამან მოუტანა ტოლუშს სასურველი შედეგი. ბრონშტეინმა ხელთ იგდო ინიციატივა, ფიგურის დაკარგვის შემდეგ ტოლუშმა შეურიგდა მორიგ დამარცხებას.

ყაიმით დამთავრდა სუეტინ-კროგიუსის შეხვედრა.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. გელერი ინარჩუნებს პოზიციურ უპირატესობას ბანიკთან, ტაიმანოვი ამბობს მოუგებს კოტოვს, პოლუგაევსკის თუმცა უარესი პოზიცია აქვს კორჩნოისთან, მაგრამ იგი მაინც უპირისპირებს შანსებს ინარჩუნებს. ყაიმი იქნება გიპსლის-ავერბახის პარტიაში, რადგან ეტლების შეწყვეტილ დასრულებაში გიპსლისს პაიკის სანაცვლოდ ძალზე აქტიური პოზიცია აქვს. ასეთივე შედეგია მოსალოდნელი ფურმან-გურგენიძის პარტიაში, რომელიც დაც ბრძოლა თავიდანვე მშვიდობიანად მიმდინარეობდა.

XI ტურის შემდეგ წინ არიან სპასკი — 7 ქულა და ერთი გადადებული პარტია. ე. გელერი — 6,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, დ. ბრონშტეინი და ტ. პეტროსიანი — 6,5 ქულა თვითეულს, ი. ავერბახი — 6 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ი. ბოლესლავსკი — 5,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია.



მე-8 წელია, რაც მოსკოვში „ყირიმის ხიდის“ საწყლოსნო სადგურში მუშაობს ცივ წყალში მოცურავეთა სექცია, რომელშიც 50-მდე კაცია გაერთიანებული. მათ შორის არიან სტუდენტები, ექიმები, წარმოება-დაწესებულებათა მუშები და მყვინთავები. სექციას ხელმძღვანელობს ცნობილი მოცურავე და მყვინთავი ოსმან კუშუკოვი.

სურათზე: მორიგი მეცადინეობა.

ფოტო ა. კონკოვისა და მ. რედკინისა.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორას — 3 89 62, პ.-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25

საქართველოს კპ ც კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00230